№ 83

პარასკევი, 21 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 83

პარასკევი, 21 აპრილი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

### ივერიის რედაქციისაგან.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

## ძმ. ნიკიტინთა ცირკში

შაბათს, 22 აპრილს, 1895 წ.

პირველის თვალთ-მაქცის ნ. ა. კოზლოვის მიერ გამართული იქნება

დიდი ფანტასტიური წარმოდგენა უკანასკნელად.

ეს წარმოდგენა ამოღებული იქნება არაბულ ზღაპრებიდგან 1001 ღამე.

წარმოდგენაზედ იქნება ნაჩვენები სულ ახალი ნომრები და არავითარი ერთობა არ ექმნება წინანდელ წარმოდგენებთან.

განყოფილება I-ლი.

ფაკირთა ხუმრობანი.

განყოფილება II.

ნავარის წყალ-ვარდნილი.

განყოფილება III.

დამაცემრება, ანუ ამერიკული სპირიტიზმი.

ადგილების ფასი დაკლებულია: ლოჟა დამატებითის გარდასახადით 4 მან., სკამები მანეჟში 1, 2, 3, 4, 5 და 6 თითო მანეთი. ლოჟებ წინ 1 და 2 რიგის ადგილები 80 კაპ., ლოჟებს უკან 1, 2, 3, 4 და მე-5 რიგი 55 კ., გალერეია 25 კ.

ქ. ქუთაისში, 21 მაისს, სულის-წმიდის დღეს გაიმართება სახალხო სეირნობა ღარიბ ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ; ამასთანავე იქნება ყმაწვილთათვის მომგებიანი ბაზრობა. ვინც ინებებს ნივთის ანუ ფულის შემოწირვას ბაზრობისათვის, დიდის მადლობით იქნება მიღებული საქმის მმართველისაგან—მარიამ ივ. ტიმჩენკო-რუბანისაგან.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ მაისის ექვსს, დილის ათს საათზედ, შესდგება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებას განზრახვა აქვს განიხილოს: ა) შეძენა არწრუნისეულის მამულისა; ბ) სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახელმწიფო განყოფილების ორის წევრისა და მათის კანდიდატების ამორჩევა; გ) სჯა-ბაასი ოძისის მამულის შესახებ, რომელიც აჩუქა თავადმა ზაქარია ერისთავმა თავად-აზნაურობას და დ) ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენლობაზედ. (3—6—3)

ქალაქ ტფილისის საბჭო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ტფილისის გუბერნატორმა 13 აპრილს 1895 წელს დაამტკიცა ტაქსა, რომლითაც ვოკზალიდან ქალაქში წამომსვლელნი ფაეტონში გადაიხდიან 60 კაპ. თხუთმეტის შაურის მაგიერად, რომელიც დღემდის ერთმევოდათ. (3—6—3.)

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს. ეკატირინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ: ვაზები, ფულის ქისა, ტერმომეტრები, ვაზა თავისის ფინჯნებით, ნაქარგი ბალიში, კალათა ყვავილებით, სასწორი, კედლის საათი და მრავალი სხვა ნივთები, სულ ოც-დათექვსმეტი. კნეინა ვაჩნაძისამ: ტერმომეტრები და სასუხრე; ალავერდოვმა ერთი წყვილი ტუფლი.

## ახალი ამბავი

*** ინგლისელი დუგლას ფრეშფელდი ამზადებს დასასტამბად კავკასიის დიდს აღწერილობას: „The axploratin of the Caucasus“. თხზულება ორს ტომს შეიცავს და შიგ მრავალი სურათები იქნება. წიგნი შემოდგომაზედ გამოვა.

*** სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს შარშან აქ, ჩვენში, აშკარად დაუნახავს, რომ სატყეო უწყებათა მოხელენი თავიანთის სასტიკის მოქმედებით მეტის-მეტად ავიწროვებენ გლეხებს, რის გამოც ძალიან ხშირად გაისმის ხოლმე გლეხთა სამართლიანი დრტვინვა და საჩივარიო. მაგალითად: გლეხებს ხშირად პასუხის გებაში აძლევენ, თუ იმათ სანადელო მიწა, რომელიც გაზომილი და შემოსაზღვრული არა აქვთ, შეიმუშავეს ან ტყეა ზედ და მოსჭრეს, არა თუ ძირეული ხე, არამედ ტოტიც რომ გაეგდებინონ იმ ხეს, რომელიც იმათს ანადელოშია, ანუ იმ ადგილით ისარგებლონ, რომელიც მათ სასარგებლოდ არის დანიშნული: საყანედ, საბოსტნედ, საბაღედ და სხ-და-სხ.

ტყის მცველნი ოქმს უდგენენ გლეხთ არა იმ ადგილას, სადაც მან უკანონობა ჩაიდინა, არამედ სოფლად მცხოვრებთა შორის და თხოულობენ მმართველობის ნება-რთვა წარუდგინონ მათ, ხოლო-კი არ კითხულობენ ეს ხე-ტყე, რომელიც მოსჭრა გლეხმა, გასასყიდად უნდა თუ თავისი საკუთარი საჭიროება აქვს, რომ საოჯახო მეურნეობისათვის მოიხმაროს ეს მასალა. მოწმობანიც, რომელსაც სატყეო უწყება აძლევს გლეხთ, ძალიან მცირე ვადიანია, რის გამოც ერთი დღეც რომ გადასცდეს, მაინც პასუხს აგებინებენ გლეხებს, როგორც ნება-დაურთველს მმართველობისაგან. გარდა ამისა აღკრძალული აქვთ აძოვონ საქონელი იმ ადგილებზედ, რომელიც მცხოვრებთა საქონლის საძოვრად არის დანიშნული. ზოგიერთს ადგილას გლეხებს ერთმევათ გარდასახადი ტყისმცველთათვის, ხოლო სასარგებლოდ უნიშნავენ ისეთს ადგილს, რომელიც გლეხთათვის ხელის-მისაწვდომი და მოხერხებული არ არისო.

ამის გამო მინისტრს საჭიროდ უცვნია რამდენიმე ცვლილება შემოიღოს და კიდევაც უბრძანებია უმთავრეს სამმართველოსათვის შემდეგი:

1) მოჭრა ხისა, ანუ ტყის გაკაფვა იმ ადგილებში, რომელნიც გლეხთა სანადელოს შეადგენენ, თუნდაც ეს ადგილები გაყოფილი და შემოსაზღვრული არ იყოს, არ ჩაითვლება კანონის წინააღმდეგად ისე, როგორც მოჭრა სახაზინო ტყისა.

2) გაწმენდა, შემოკავება და სახნავად შემუშავება იმ ნაწილებისა, რომელიც გლეხთა სასარგებლოდ დანიშნულ მიწების რიცხვში შედის, არ აღეკრძალოთ გლეხებს, უმეტესად იმ შემთხვევაში, თუ მათგან მოჭრილი ხე-ტყე, ანუ ნაკაფი მცირე ფასისაა და ზემო-აღნიშნული მასალა გასასყიდად-კი არა სამეურნეო და საოჯახო საჭიროებისათვის უნდათ.

## ფელეტონი

### საშინელი ბრძოლა *).

კომედია 5 მოქმედებად.

(ვუძღვნი ქართველს ქალებს).

გამოსვლა მეოთხე.

ვარლამი და მენიკო

მენიკო. (ღიმილით) მაშ ისიც დაინახეთ, რომ ვსტიროდი?

ვარლამი. დიაღ, კნიაჟნა, დავინახე... (ამოიოხრებს) ეეჰ, ნეტავი არ დამენახა!..

მენიკო. რადა? ნუ-თუ ეგრე გეზარებათ ცრემლები?

ვარლამი. კი არ მეზარება, მაშინებს, კნიაჟნა...

მენიკო. აბა ცრემლი რა საშიშარია? სიხარულის ცრემლი ხომ სიხარულის სიცილზედაც უტკბესია?..

ვარლამი. (თავჩაღუნულ მოიკიდებს ხელს; თავისთვის) სულ ავირიე, ენაც არ მემორჩილება!.. (მენიკოს) უკაცრავად... მე სულ სხვა მინდოდა მეთქვა... მინდოდა მეთქვა, ეგ ცრემლები მაგრავენ-მეთქი...

მენიკო. სხვისი ცრემლები გჩაგრავენ! (სიცილით) ეგრე გულ-ჩვილად მე თქვენ არ გიცნობდით, ბ-ნო ვარლამ!..

ვარლამი. მე თქვენ გირჩევთ, კნიაჟნა მენიკო, ხშირად მოიდინოთ თვალებზედ ცრემლი... ძლიერ გიხდებათ... სადღაც მინახავს ვიღაც შესანიშნავის მხატვრისაგან დახატული სურათი თვალ-ცრემლიანის მარიამ მაგდალინელისა—თქვენს დანახვაზედ ის მომაგონდა... მერმე ოცნებამ გამიტაცა, მისს სიტკბოებას ხარბად დავეწაფე და ვერც მომგლეჯდა ვერაფერი, მაგრამ ვერ მოვითმინე... ნამეტანმა აღტაცებამ კინაღამ ამამღერა...

მენიკო. (სიცილით) თქვენ და ოცნება! თქვენ და აღტაცება! თქვენ დღეს თავისს თავს დასცინით! თქვენ ხომ ამგვარებს მწარედ დასცინოდით, შეუბრალებლად სდევნიდით? თქვენგან მე ბევრჯელ მსმენია: ოცნებობა ჭკუა-მსუბუქის და უნიადაგო კაცის თვისებას შეადგენსო!..

ვარლამი. (აღტაცებით) აბა რა უნდა ჰქნა, თუ-კი „ბუნებას თვისი უხვი კალთა ქვეყნზედ დაუბერტყია?!“

მენიკო. (ირონიულად) ამნაირი მოკაზმული ლაპარაკი როდის ისწავლეთ?

ვარლამი. „მოდი გულს უთხარ,—კარგს სანახავზედ ნუ ხარ-თქო ხარბი!“

მენიკო. კიდევ! პოეტების სიტყვებითაც დაგიწყიათ ლაპარაკი!

ვარლამი. „თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს ხორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად, უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა...“

მენიკო. გაათავეთ?

ვარლამი. არა! არ გამითავებია! (თავ-დავიწყებით) არც გავათავებ!.. მე მინდა ჩემი სიცოცხლე თქვენთან გავა... (მიუახლოვდება და უნდა ხელი მოჰკიდოს).

მენიკო. (უკან დაიხევს გამწყრალი) ხილმწიფევ! ერთობ გაკადნიერდით! თქვენ დღეს თქვენს ჭკუაზედ არ ბრძანდებით!.. გამოფხიზლდით! (მიდის კარისაკენ გასასვლელად).

ვარლამი. (დაედევნება აღელვებული) შეჩერდით! მე თქვენ ნუ დამცინით! ნუ შეურაცხმყოფთ! თავს მოვიკლავ!.. თავს დავირჩობ!.. (ცდილობს შეიკავოს მღელვარება) უკაცრავად... მომიტევეთ... მეც არ ვიცი რა მემართება... გთხოვთ ნუ წახვალთ,—ერთი საკითხავი მაქვს...

მენიკო. ბრძანეთ ჩქარა!..

ვარლამი. მითხარით, კნიაჟნა, როდის გათხოვდებით?

მენიკო. როდესაც დრო მოვა...

ვარლამი. მაინც როდის?

მენიკო. არ ვიცი...

ვარლამი. ოჰ, ჩემთვის-კი დიდი ხანია ეგ დრო მოვიდა!

მენიკო. მერმე რას უყურებთ? განა თქვენისთანა სახელოვანს კაცს ვინმე დაუჭერს ჩვენში ქალს? თქვენისთანა საქმრო სხვა ვინღა არის?!.

ვარლამი. თქვენ... თქვენ ვის წაჰყვებით?

მენიკო. მე? თქვენ რად გეკითხებათ ეს?

ვარლამი. ისე... მითხარით ვის?

მენიკო. კაცს...

ვარლამი. როგორს კაცს?

მენიკო. (გაღებულ კარებიდგან მაცდურის ღიმილით) იცით როგორს კაცს? რომელიც ცეცხლის მფრქვეველს მთაზედ დამიდგამს სახლს!..

ვარლამი. ?!

მენიკო. ხომ გაიგონეთ: კაცს, რომელიც ცეცხლის მფრქვეველს მთაზედ დამიდგამს სახლს...

ვარლამი. ?!

მენიკო. ხა! ხა! ხა! ვერ მიხვდით? ვერც მიხვდებით, სული რომ თავი ამოტვრიოთ! (გადის ხარხარით).

ვარლამი. (შესჩერებს კარებს) ცეცხლის მფრქვეველი მთა!.. არ მესმის! Вѣроятно бредни какія нибудь, навѣянныя этымъ студентишкой! მე-კი ცივი წყალი გადამასხა!..

გამოსვლა მეხუთე.

მიზარბეგ, ბექანი, სოფიო, ვარლამი და ვალიკო.

მიზარბეგი. (კარებში) მობრძანდით, მობრძანდით!.. (დაინახავს ვარლამს) ააა, თქვენც მობრძანებულხართ!.. ბატონს ვარლამ ელიაძეს ვახლავარ ასის ცხენოსნით!.. (გადახედავს) ვა, ეგ რა ამბავია, კაცო, თითქოს აღელვებული ხარო? ფერიც არ გადევს კაცისა! ნიძლავსა ვდებ, რომ ვიღაცას უწყენინებია!..

ვარლამი. (ყველას ხელს ართმევს; მიზარბეგს ნაძალევის ღიმილით) არა, თქვენ არ მომიკვდეთ, კნიაზო, არავის უწყენინებია... ისე... დავიღალე...

ბექანი. (მიზარბეგს) მე გეტყვი ვარლამის აღელვების მიზეზს: გუშინ მან ისეთი საქმე მოიგო, რომ ოპოპოპო!.. აი ის საქმე, ხომ გახსოვს, ბავშვი რომ გახურებულს შანთზედ წამოაცვეს მისმა ბიძამ და დედინაცვალმა...

მიზარბეგი. (გაკვირვებით) ნუ იტყვი! მისი გამართლება შეუძლებელი იყო!

ბექანი. წარმოიდგინე,—ჩვენც ისე გვეგონა... მაგრამ...

მიზარბეგი. კაცო, მათი დანაშაულობა ხომ ისე აშკარა იყო?!.

ბექანი. მეც აშკარად მიმაჩნდა, მაგრამ ხომ ხედავ სასწაულ-მოქმედმა რა ქნა!..

სოფიო. ტყუილად-კი არ არის, გენაცვალე, ნათქვამი: ადვოკატი შავს თეთრად გარდააქცევსო! სწორედ უწმინდური ხელობაა ეგ ადვოკატობა, თქვენმა მზემ! (ყველანი იცინიან).

ვარლამი. (სიცილით) უთუოდ, კნეინა სოფიო, მისთვის არ ზრდით თქვენს ვალიკოს ადვოკატად?

სოფიო. უი, ღმერთმა დამიფაროს, ვალიკო, გენაცვალე, ხომ არ გინდა ადვოკატობა? (ყურში ხელს მოჰკიდებს და ლოყაზედ აკოცებს).

ვალიკო. (წყენით) მე, დედილო, დოხტურობა ამოვირჩიე! რომ მდომოდა, ადვოკატობას ამოვირჩევდი!..

სოფიო. გენაცვალოს დედა-შენი!

ბექანი. მიჰქარავ, დედა-კაცო! ქალის ჭკუა გაქვს!..

(შემოდის მელიტონი, უკან ხელ-დაწყობილი, თავს დაუკრავს ყველას ერთად აგდებულად და მერმედ დადის თავისთვის ზალაში ერთი კუთხიდგან მეორემდის).

გამოსვლა მეექვსე

იგივე და მელიტონი.

ვარლამი. (მელიტონს რომ შეხედავს) Вотъ и виновникъ сегодня-

*) იხ. „ივერია“ № 82.

3) შედგენა ოქმისა, არა იმ ადგილას, სადაც დანაშაული ჩაიდინეს, არამედ სოფლად და მცხოვრებთა შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დამნაშავე იქვე ვერ შეისწრეს, მაგრამ ნამდვილს კვალს-კი მიაგნეს. სხვაგვარს შემთხვევაში ამგვარი კვლევა-ძიება ტყის მცველთაგან არ უნდა მოხდეს.

4) მოძოვება საქონლისა იმ მინდვრებში, რომელნიც იმათს მფლობელობაშია, არ უნდა აეკრძალოს გლეხთ, თუნდაც ეს მინდვრები ტყით დაიფარონ.

5) იმ ხე-ტყის გასატანად, რომელიც მუქთად ეძლევათ, ანუ რომელშიაც ფასს იხდიან, უნდა დაენიშნოთ უფრო გრძელი ვადა, რათა შეღავათი მიეცეთ გლეხებს ამ უფლებით სარგებლობისა.

6) გლეხთაგან ფულის გადახდა ტყის-მცველთა სასარგებლოდ სრულიად აღკრძალულ იქმნეს.

7) საზოგადოდ, სატყეო უწყებათა მოხელენი უნდა ერიდნენ ისეთს მოქმედებას, რომელსაც არავითარი სასარგებლო მნიშვნელობა არა აქვს არც ხაზინისა და არც სახელმწიფო ტყეთა ინტერესებისათვის და იმავე დროს მძიმე ტვირთად ედება სოფელს, რომელთაგან იწვევს დრტვინვასა და საყვედურს ასეთის შევიწროების წინააღმდეგ.

ეს განკარგულება, მინისტრისა, უმაღლესს სატყეო მმართველობას უკვე გარდაუცია ყველა მაზრის უფროსებისათვის თავ-თავიანთს მაზრებში გამოსაცხადებლად.

*** რადგანაც ამ ცოტა ხანში ტფილის-ყარსის რკინის გზა უნდა გაიყვანონ, ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას განუზრახავს ბორჩალოს მაზრაში ახალი გზა ტკეცილები გაიყვანოს თავისის ტეხნიკოსების დახმარებით. ამ ტეხნიკოსებს გზის გაკეთების გარდა დავალებული აქვთ იმ ადგილების გასინჯვა, სადაც საჭირო იქნება ხელოვნურის შენობებისა და სახლების აგება.

*** ს. მცხეთა: ჩვენის სასწავლებლის საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ მაინც მტრები ბევრი ჰყავს. სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებელი მ—კო ხიზ—ი შეუჩენია სოფელს და ურჩევს „სკოლა დავკეტოთო“! საკვირველია, ღმერთმანი ასეთი თავხედობა. ნეტა, რა ეხარჯება მცხეთელებს, მასწავლებლის ჯამაგირის მეტი (300 მ.)? დანარჩენი სულ მუქთია. შენობა საეკლესიო და სამოსწავლო ნივთებიც მუქთად გვეძლევა, მაგრამ ბოროტებს ვინ ალაგმავს.

*** ს. არტოზანი, (კახეთი): ამ ჟამად აქეთკენ ცუდი ამინდებია. აგერ ორი კვირა იქნება, რაც გამუდმებით წვიმს! წვიმას თან მოჰყვა სიცივე, რომელმაც ვენახებში და ბაღებში შიგა-და-შიგ ხეხილი წაგვიხდინა. ხეხილის წახდენას ვინ ინაღვლის; ნეტა ვენახები მაინც გადაურჩეს ამ სიცივეს!

## კორესპონდენცია.

**ქიზიყი.** რაც სიცივემ დააკლო ჩვენს ჭირნახულს, იმას კალია ავსრულებს ეხლა. უთოვლო ზამთარმა ის შეგვძინა, რომ კალიის კვერცხი არ დაზიანდა, მრავლად გამოიჩეკა' ფრთები შეისხა და მოედვა მინდვრებს. მაზრის უფროსმა ყურადღება მიაქცია ამას და უკვე გაგზავნა ბოქაული ლევან რობიტაშვილი რამდენიმე კაცით იმის დასათვალიერებლად, სად უფრო მეტად გაჩენილა კალია, რომ იქით გავიდეს ხალხი მის დასახოცად.

არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ჩვენს სულიერ მამებს მღვდლებს. იმ დროს, როცა ცრუ-მორწმუნეობა ასეა მოდებული მთელს მხარეზედ, იმ დროს, როდესაც ასე თავისუფლად მოქმედებენ ჩვენში მკითხავები, ისინი, ბატონო, გულ-გრილად უყურებენ ყველა ამაებს და თვის მოვალეობად მარტო წირვა-ლოცვა მიაჩნიათ. არ შეგვიძლიან აგრეთვე არ ვუსაყვედუროთ ჩვენს შეგნებულს ყმაწვილ-კაცობას, რომელნიც მოვალედ არა რაცხვენ თავს, გაუწიონ სამსახური იმ ერს, რომლის ოფლითაც ისინი იკვებებიან და იკვებებოდნენ, როდესაც ისინი ჯერ ისევ სწავლას იძენდნენ და მაშასადამე, არა სჭამდნენ თვისის ოფლით მოპოვებულს პურს. რამდენად არის ჩვენში ცრუ-მორწმუნოება გავრცელებული, ეს ადამიანის ყოველ-მხრივ წინ-მსვლელობის შემაფერხებელი, ამაზედ მრავალთაგან მხოლოდ ერის მაგალითს მოგახსენებთ:

ერთმა ბოდბელმა გლეხმა, გლეხმა ისედაც გათახსირებულმა ათასის ჭირ-ვარამით, მკითხავის სიტყვით, ამ დღეებში შესწირა სოფელ ანაგაში მთავარ-ანგელოსის ეკკლესიას: ჩოხა-ახალუხი, წაღები, წინდა-პაჭიჭი, ქუდი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, შეწირულება სულ ღირს ათი თუმანი ფული.

განა ამისთანა გარდასახადი-ღა უნდა ქიზიყელს გლეხს, რომლის სხვადა-სხვა სახელმწიფო გარდასახადი წელიწადში, შუა რიცხვით რომ ავიღოთ, რვა-ცხრა თუმანს აღემატება? აი ამას და მრავალს სხვა-გვარს ამისთანაებს ჩვენი სოფლად მცხოვრები შეგნებული ყმაწვილები გულ-გრილად უყურებენ!

ანაგელი გლეხი.

**რაჭა.** 12 აპრილი. ყველამ იცის, რომ რაჭაში მიწა მეტის-მეტი ძვირია, მაგრამ ნაცვლად ამისა განგებას რაჭა უხვად დაუჯილდოებია მშვენიერის ბუნებით და მთებით. ამ მთების პატრონებს რიგიანი მოვლა რომ შეეძლოთ, გაჭირვებასაც არ ნახავდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, მათის დაუდევრობისა და დაუფიქრებლობის გამო, მთის მეპატრონეთა შორის მუდამ არის ხოლმე უთანხმოება, დავა, ერთი მეორის წართმევ-წაგლეჯა, თანამონაწილეს ჯიბრზედ მუქთად ხე ტყის გაცემა და სხვა ამ გვარი უწესოება.

ამისი მაგალითია ნამანევის მთა, რომელიც შეადგენს თავად წულუკიძეების კუთვნილებას. ეგ პატივცემული თავადები არაფერს ზრუნავენ თავისის მამულისათვის და მამული-კი დღითი-დღე პარტახდება და ფუჭდება ნამანევისა და შავრის მცხოვრებლებისაგან, რომლებიც მთელს მთას თავისს საკუთრებად სთვლიან, თუმცა-კი არავითარი უფლება არა აქვთ, ასე მოიქცნენ. შარშან-წინ მოვიდნენ რაჭაში თვით მებატონენი თ. წულუკიძეები და სცდილობდნენ, რაიმე ღონისძიება ეხმარათ გლეხების წინააღმდეგ, მაგრამ ყველას ისე ეჩქარებოდა შინ დაბრუნება, თითქოს „ფაფა უცივდებათო“. ეს-კი იყო, რომ მონაწილეებმა ამოირჩიეს ვექილი, რომელსაც დაავალეს მთის საქმის წარმოება, მაგრამ ის ვექილი იმ დღიდგან ჩვენ რაჭაში მცხოვრებ მონაწილეთ თვალითაც არ გვინახავს, არამც თუ რაიმე ვიცოდეთ იმის მოქმედების შესახებ; ამას ცხადად ამტკიცებს ის გარემობა, რომ ნამანევ[ის] მთა დღესაც ისე ნადგურდება, როგორც წინად; აბა დაგვანახვოს ვ[ე]ქილმა მისი ნაწარმოები, რამდენი ოქმი შეაყენა? რითი გაამაგრა თავისის მარწმუნებლის უფლება, რომელს მონაწილეს წარუდგინა თავისის მოქმედების ანგარიში? შეიძლება ყველასაგან არ ჰქონდეს მინდობილი ვექილობით მაგრამ ვისგანაცა აქვს, იმას რა ანგარიში მისცა?—ის ანგარიში მისცა, მევე მოგახსენებთ, ჩემო ბატონებო, რომ მათი მამული დღითი-დღე იღუპება, ფუჭდება, ოხრდება და თვით მეპატრონეთ-კი ჩალას ავლებენ პირში.

არა უკეთესს მდგომარეობაშია მეორე საწულუკიძეო მთის საქმე, რომელიც სადავოდ არის ხაზინასთან და საქმე შეჩერებულია ერთის მონაწილის სიკვდილის გამო, ამ საქმის თავის მომბმაც ვერ მოუხერხებიათ თ. წულუკიძეებს!

კ. წულუკიძე.

***

აგერა მთვარემ ამოაშუქა
და გამოხედა ძირს არე-მარეს,
ამპარტავნულად შეითამაშა,
შუქი მოჰფინა ყოველსა მხარეს.
ბულბულმა თითქოს ამის პასუხად
დაჰკვნესა ტყიდგან მდელოს მდუმარეს,
წყნარმა ნიავმა ნელად დაჰქროლა
და შორს იტაცებს მის ხმას მწუხარეს.
„ჯუჯუ-კალიამ“ მათ ბანი მისცა,
ქვიდამ ქვებზედა წყარო თქრიალებს,
კურდღელი ბუჩქსა ეთამაშება,
ხეზედ შემკრთალი ჩიტი ფთხრიალებს.
მთვარე-კი ისევ ლაჟვარდს ცაზედა
ვარსკვლავთა გუნდში მიმოსრიალებს.

ძირს ხეობაში სძინავს სოფელსა,
იქ მაშვრალს ხალხსა მოუსვენია

---

шнаго торжества! ისე წამოგვისროლა სალამი, თითქოს დიდი მოწყალება გვიყოო!..

სოფიო. (უმზერს ბექანს)?!

ბექანი. (უმზერს სოფიოს)?!

მიზარბეგი. ხუმრობა გაშვებით იყოს და მართლა დიდი ნიჭი-კი არის ეგ ადვოკატობა, მე და ჩემმა ღმერთმა!... ხუმრობა არის დასარჩობი, საცემბიხო კაცი დაუბრუნო ოჯახს, ქვეყანას!..

მელიტონი. (ირონიულად) რა ბრძანებაა, ბატონო, ადვოკატობა რომ ქვეყნად არ გაჩენილიყო, ხომ თქვენი ვაჟი ტიფო დიდი ხანია ტომსკის ან ირკუტსკის „მეშჩანინი“ შეიქნებოდა!..

ბექანი. განა მარტო ტიფო?! სხვაც ბევრი, ყმაწვილო!..

მელიტონი. დიაღ, თამამად შეგიძლიანთ ბრძანოთ, პატივცემულო კნიაზო, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის ჩოხოსან გმირებისა!..

სოფიო. (გაოცებით მიზარბეგს) უიმე, გენაცვალე, შენმა მამიდა-შვილმა ტატომ რომ აიშვას თავი, ხომ აიკლებს ქვეყანას! პირველად მე წამძაღლავს თავს!.. (იცინიან).

ბექანი. (სოფიოს) კიდევ!.. დედაკაცო, ნუ ეჩხირები ლაპარაკში მეთქი!..

მელიტონი. მაგრამ მე ისიც მგონია, რომ კნიაზი ტიფო იზმაილიძე და მისი ამხანაგები უფრო იშვიათად და ფრთხილად ამოიღებდნენ თავიანთს ბასრს ხმლებს ქარქაშიდგან... მეორმოცე კაცს-კი არ დასჭრიდნენ და არც მეორმოც-და-ათე მედუქნეს აღენდნენ ცხვირიდგან ძმარს, რომ ეს ადვოკატები არა...

ვარლამი. (ახირებით) მაშ ადვოკატების ბრალი ყოფილა მათი ავკაცობა?!

მელიტონი. (ვითომ არ გაუგონია) რომ ადვოკატები არა,—შეიძლება ისინი პირველს ან მეორე დამტვრეულს ცხვირზედ შეჩერებულიყვნენ...

ვარლამი. მაშ ადვოკატობა საზოგადოების გამრყვნელი იარაღი ყოფილა?!!

მელიტონი. ვინ მოგახსენებთ?! ძალიან საჭირო და სასარგებლო იარაღია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ იარაღს ზნეობრივს საფერავში ავლებ...

ვარლამი. (დაცინვით) ეგ ზღაპარია უკბილო ბავშვების გასართობი!..

მელიტონი. (ვითომ არ გაუგონია) არის ერთი პატარა ქალაქი ჩვენში,—„მარკის ქალაქს“ ეძახიან და იცით რისთვის?—მისთვის, რომ იმდენი მარკები თურმე მთელს რუსეთის იმპერიაში არ იხარჯება, და იმდენი საჩივრები არსად არ არის... იქ შვილი მამას უჩივის, მამა—შვილს, ცოლი—ქმარს, ქმარი—ცოლს... იმათთვის სასამართლო დროს გასატარებელ ადგილად გამხდარა.. თვით მანდილოსნები ფერად-ფერადებს იცმენ და ისე მიეშურებიან იმ საუცხოვო ადგილს... მომიტევეთ, იმ ქალაქის გამარკის ქალაქობისთვის, მგონია, სხვებზედ ნაკლებ არ ცდილან ჩვენი განათლებული ადვოკატები...

ბექანი. მაშ უნდა მოვსპოთ ადვოკატობა და სასამართლოები!

სოფიო. ნეტავი მართლა!

მელიტონი. არა, რისთვის სპობთ? დეე, სასამართლო ნუ იქნება ადვოკატისთვის ბრძოლის ასპარეზად, სადაც გამარჯვება რჩება მხოლოდ უსინიდისოს და ხერხიანსა!...

ვარლამი. (დაცინვით) ოჰ, ყმაწვილო, რა ლამაზად ლაპარაკობთ! თქვენი მისწრაფება, თქვენი წადილი თვით მყინვარის წვერის ყინულზედაც უსპეტაკესია, მაგრამ,—წარმოიდგინეთ,—ვერაფერში დაგვარწმუნებთ! ჩვენ გვიცხოვრია... გამოგვიცდია ცოტა რამ... ფიცხელს ოცნებას დიდი ხანია შევაკვეცეთ ფრთები...

მელიტონი. (იქით) ვეჭვობ, როდისმე გქონოდეთ თქვენ ეგ ფრთები!...

ვარლამი. თამამად ვიტყვი: ჩვენი ხელობისთანა მძიმე სხვა არ მოიპოვება; წელ-გამწყვეტი შრომა, მღელვარება, უძილო ღამეები—აი ადვოკატობის პოეზია! სამაგიეროდ რა გვეძლევა?—გამოტირებული ორი გროში!... მაშ ვის მიუძღვის საზოგადოების წინაშე ღვაწლი, თუ ჩვენ არა?!

მელიტონი. ეგ ხომ ძველი ამბავია, ბატონო ჩემო! დღეს ჩვენში ვინ არ ყვირის საზოგადოების წინაშე ღვაწლზედ? ყველაზედ უფრო კი განათლებული ადვოკატები და ექიმები! აი, ამას წინად წვეულებაზედ ერთმა ექიმმა, რომელიც ოც-და ხუთი წელიწადია ქალაქს არ გასცილებია და მხოლოდ სქელ-ჯიბიან სოვდაგრებს ექიმობდა, გრძელი სიტყვა სთქვა, და იცით რაზედ? თვის ღვაწლზედ საზოგადოების წინაშე: სთქვა, თუ ეს ამოდენა ხანი თავ-დაუზოგავად... (sic) თავ-ჯავიწყებით საზოგადოებას ვემსახურე და სამაგიეროდ რა შევიძინე? მხოლოდ მით ვნუგეშობ და მეძლევა ზნეობრივი კმაყოფილება,—ასე დაათავა სიტყვა თვალ-ცრემლიანმა,—რომ ჩემი თავი ქვეყანას და ხალხს შევწირე... მე თქვენა გკითხავთ, რომელს ხალხს?

ვარლამი. (დაცინვით) ააა, თქვენ გნებავთ, რომ სოფლებში გარდავსახლდეთ და გლეხ-კაცობას ვემსახუროთ!.. (სახისკენ) Народникъ, чортъ возьми!..

მელიტონი. (მკვახედ) დიაღ, მოწყალეო ხელმწიფევ, სოფელსაც სჭირია თქვენი სამსახური!... და თუ არ ემსახურებით,—ტყუილად ნუ ჰყვირით თქვენს ღვაწლზედ ხალხის წინაშე!...

სოფიო. უიმე, გენაცვალე; აბა რად ეჭირვება ექიმობა გლეხ-კაცობას?! ისინი ხომ ჩვენსავით არ გრძნობენ ავადმყოფობის სიმწარესა? დასწყევლოს ღმერთმა, იმათ არც-კი ეკარებათ ის ათასნაირი ავადმყოფობა, ჩვენ რომ სულს გვართმევს!

მელიტონი. (დაცინვით) დიაღ, დიაღ, მართალს ბრძანებთ, კნეინა, არ ეკარებათ თქვენდა სამწუხაროდ! შორს მათგან თქვენი შემაწუხებელი მუცლის კატარი, ბუასილი, ისტერიკა!...

ვარლამი. (იქით) Разошелся народникъ!

ბექანი. (იქით) ეხლა, რაებს ჩმახავს გუშინდელი ბალღი!

მიზარბეგი. მართალს გეტყვი, ექიმებიც დიდი ღვთის მოწყალებაა ქვეყნისთვის... მარტო ის რადა ღირს: შემოდის ექიმი და სულ-მობრძავს ადამიანს იმედის ღიმილით უბრწყინდება სახე!...

სოფიო. ვენაცვალე ჩემს ვალიკოს—ის იქმნება კარგი დოხტური! (მოეხვევა ვალიკოს და ჰკოცნის) მაგრამ, უი, ჩემს თვალებს, თურმე მკვდრები უნდა სჭრას! ხომ გადამერევა ბავშვი!..

ვალიკო. (წყენით) რაებს ამბობ, დედა-ჩემო? მე სულაც არ მეშინიან მკვდრისა!...

სოფიო. ერიდე, ერიდე მკვდრებს, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... შენ ჩემი ჭკვიანი ვალიკო ხარ... (აკოცებს) ისედაც შეგიძლია ისწავლო დოხტურობა...

მელიტონი. (დაცინვით სოფიოს) ჰო, ესე იგი წარმოდგენით, კნეინა... (ვალიკოს) დაჯდებით, ყმაწვილო თქვენს ოთახში და წარმოიდგენთ, ვითომ სტოლზედ გძევთ მკვდარი ქალი... (ათვალიერებს სოფიოს) თმაჭაღარა და ცოტათი წელში მოხრილი... იღებთ თქვენ გულ-ცივად ბასრს დანას... (სოფიო გაოცებით შეჰკივლებს და თვალებზედ ხელს აიფარებს) ჯერ თავს სჭრით (სოფიო ამოიოხრებს), მერმედ ხელებს... მერმედ ერთის დაკვრით გულს შუაზედ უპობთ, ჰგლეჯთ თავის ადგილიდამ და თეფშზედ სდებთ...

სოფიო. (რამდენჯერმე შეჰკივლებს) შეჩერდით, შეჩერდით ღვთის გულისათვის!... (ვალიკოს) შენ ხომ არ

და მკრთალი შუქი მის ოფლიანს მკერდს
ზედ დაჰფარფატებს, მიმოჰფენია.
დაიძინევი, მაშვრალო ერო,
მით ჩაიყურე ტანჯვა და კვნესა,
დაიძინევი, რომ ისევ კვნესით
კვლავ მიეგებო ხვალინდელს დღესა...

—

მაგრამ მოვა დრო და სიტკბოებით
შენც გაგიღიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო განახლების...
დროი ბრწყინვალე, დროი დიადი!..

ი. ევდოშვილი.

---

## ხმა პროვინციიდგან

### შესახებ სამის წესდების პროექტისა.

(იხ. „ივერია“ №№ 52, 68, 77 და 79)

აზრი ხსენებულის პროექტებისა „ივერიის“ 79 №-ს მეთაურში მოკლედ განმეორებულია ბ-ნ ლალისაგან და მისგანვე საუკეთესოდ აღიარებულია პროექტი თვით სტუდენტებისაგან შედგენილი. ეს, რასაკვირველია, უკანასკნელი სიტყვა არ არის, როგორც ბ-ნი ლალი ამბობს; ამაზედ იქნება რამდენიმე კრება, სადაც გადასწყდება, რომელს პროექტს მიეცეს უპირატესობა.

ჩემის აზრით, ამ სამის პროექტისაგან უნდა იქმნას არჩეული ბ.ბ. მგელაძისა, დიასამიძისა, მიქაბერიძისა და თარხნიშვილისაგან შედგენილი მცირე რამ შეცვლით. ამ პროექტს, სხვათა შორის, უნდა ჩაემატოს ორი მუხლი: 1) შეწირულება მიიღება არა წევრთაგანაც და 2) შემწირველს ნება აქვს აღნიშნოს დანიშნულება შეწირულისა წესდების მიხედვით.

ეს პროექტი დიდს შემწეობას აღმოუჩენს პროვინციაში გაფანტულს ინტელიგენციას, ხელ-ფეხს გაუხსნის მას და იმის პიროვნებას უშიშარჰყოფს სხვა-და-სხვა გარემოებათაგან. მართალია, ამ პროექტს, როგორც ამბობს ბ-ნი ლალი, „საგნად აქვს ფრიად რთული და მნიშვნელოვანი საქმე“, მაგრამ ის სრულიად არას დაუშლის სტუდენტების საქმის გაძღოლას, რადგანაც სტუდენტების საქმის გარეშე, რაც იქნება, მომატებულად იგი პროვინციას ერგება და განა სასურველი არ არის ერთმა მაზრამ მეორეს ხელი გაუწოდოს უბედურობის დროსა? თუმცა კანონის ძალით ერთის მაზრისაგან მეორე მაზრის დახმარება, გასაჭირის დროს, ნება-დაურთველად არ შეიძლება და და ნება-რთვის მიღება-კი ყოველთვის ძნელად მოსახერხებელია. საზოგადოების მოღვაწეობის დანაწილება, გაამრავლებს მოღვაწეთა რიცხვსა და მოღვაწეთა სიმრავლე გამოიწვევს წევრთა სიმრავლესა, რაც, რასაკვირველია, სანატრელია.

ი.

17 აპრილი.

---

## რუსეთის ცხოვრება.

—

ამერიკელ ნავთის მრეწველთა ამხანაგობას „Standard Oil C°.-ს“ შეუმუშავნია პროექტი კავკასიის ამხანაგობასთან საერთოდ მოქმედებავაჭრობისა და წარუდგენია ფინანსთა სამინისტროში. ფინანსთა მინისტრს განუხილავს პროექტი და უარ-უყვია. მინისტრის აზრით, კავკასიის ამხანაგობა არც საჭიროებს ამერიკელ ამხანაგობასთან შეერთებას.

—

ფინანსთა სამინისტრო ამ ჟამად ადგენს ახალს წესდებას იმის შესახებ, თუ რა წესით და რიგით უნდა გაიხსნას ფაბრიკა და ქარხნები.

—

პეტერბურგში დაარსდა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს დახმარება აღმოუჩინოს იმათ, ვინც საავადმყოფოდგან გამოსვლის შემდეგ ადგილს ვერ შოულობს ხოლმე.

—

დიდგა თუ არა გაზაფხული, წინა წლებსავით ახლაც მრავალი გლეხობა დაიძრა რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან ციმბირში გადასახლებლად.

---

## შავის ზღვის ნაპირის დასახლების შესახებ.

აი, „მოსკოვ. უწყებ“. ერთი თანამშრომელი რა აზრისაა ამ საგნის შესახებ, რომლის შესახებ წარმოთქმული მოსაზრებაც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს.

„ნოვოე ვრემ.“-ის 6.856 №-ში 31 მარტს, სხვათა შორის, კორესპონდენტი ამ გაზეთისა შეჰნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს დიდი ლაპარაკია აღძრული შავის ზღვის ოლქის მეორე (მთიან) ნაწილის დასახლების შესახებ და აზრი იმის შესახებ, ვითომ შავის ზღვის პირად აღარ იყოს თავისუფალი ადგილი ახლად დასახლებულთათვის, სრულიად უსაფუძვლოაო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კორესპონდენცია ადგილობრივ მცხოვრებისაგან, ნოვოროსიისკიდგან, არის გამოგზავნილი, რომელსაც საშუალება ჰქონდა ნამდვილი ცნობები შეეკრიბა ამ საგნის შესახებ და არა ასეთი ცნობები შეეტყობინებინა, კორესპონდენცია ყოველგვარს ნდობას უკარგავს ადამიანს.

ასე, მაგალითად, იმ ცნობებიდგან, რომელიც ჩვენ შევკრიბეთ პეტერბურგის ერთს სპეციალურს სამმართველოში 1886 წელს, სჩანდა, რომ შავის ზღვის ოლქში იმ ჟამად სხვა-და-სხვა ადგილას იყო დარჩენილი თავისუფალი ადგილი, ასე 6,000 დეს., ხოლო 1884 წელს ადგილობრივ სოხუმის განყოფილებაში შეკრებილ ცნობებიდგან სჩანდა, რომ მცირედ გამოსაყენებელი და თავისუფალი ადგილი იყო დარჩენილი 10—15 ათასი დესიატინა. ყველა ეს დიდი ხანია ცნობილი იყო ფორმალურად, და თვით კომისიამაც იცოდა, რომელმაც, ვიდრე დაადგენდა გარდაწყვეტილებას, დასახლდეს თუ არა ეს მხარე, საჭიროდ სცნო გამორკვევა იმისი, თუ რამდენია ამ თავისუფალი მიწებში სხვა-და-სხვა პირებზედ გასყიდული, ან რამდენი აქვს სხვა-და-სხვა მოხელეთ მიცემული შესამუშავებლად, მაგრამ დღემდის, აგერ 20 წელიწადია, შეუმუშავებლად არის დატოვებული.

მოკლედ რომ აღვნიშნოთ, საქმე ასე იყო: 1886 წელს გამოიცა საზოგადო დებულება, რომლითაც გარდასწყდა შავის ზღვის პირის დასახლება. ეს დებულება ორის ნაწილისაგან შესდგებოდა: პირველი შეიცავდა გეგმას იმის შესახებ, თუ ადმიდმინისტრატიულად როგორ მოწყობილიყო შავის ზღვის ოლქი; ხოლო მეორე შეიცავდა წესებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დასახლებულიყო იგი. ადგილობრივმა კავკასიის მთავრობამ გამოითხოვა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ დებულების მხოლოდ ეს პირველი ნაწილი ყოფილიყო საჯაროდ გამოცხადებული, ხოლო მეორე ნაწილი ამ დებულებისა დარჩა გამოუცხადებელი და ფორმალურად ძალაში არ შესულა.

ვიდრე ხალხი ამ დასახლების პირობათა ფორმალურად გამოცხადების ცდაში იყო, იმ დრომდის თითქმის შავის ზღვის ოლქისა და სოხუმის განყოფილების საუკეთესო ადგილები კავკასიისა და სხვა მოხელეთ დაურიგდათ და ზოგიც გაისყიდა. ზოგი-ერთი ნაწილი ამ მიწისა-კი ადგილობრივ ადმინისტრაციის შემწეობით სომხებმა, ბერძნებმა და ოსმალოთ იგდეს ხელთ და სხ., ხოლო ერთი ნაწილი ამ ადგილებისა უსასყიდლოდ უნდა დაჰრიგებოდათ „სასოფლო და სამოქალაქო მეურნეობის წესდების“ ძალით. მაგრამ ეს დასარიგებლად გამზადებული მიწები ისეთ ცუდს ადგილას იყვნენ, რომ დასახლების მსურველთ უარი განაცხადეს ამ ადგილებში ცხოვრებისა.

როგორც წევრი სამის სწავლულთა საზოგადოების კომისიისა მე ფაქტებით და ციფრებით დავასაბუთებ ყველა ამას, რაც ზემოდა ვსთქვი.

რაც შეეხება შავის ზღვის ნაპირების მთიან ადგილების დასახლებას, უნდა ვსთქვა, რომ ამ ადგილების დასახლება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ნიადაგი მეტად მწირია და მეურნეობა ფეხს ვერ მოიკიდებს. ეს ადგილები მარტო სათიბეებად არის კარგი და მხოლოდ ზოგი ერთს დაბლობს ადგილებში შეიძლება ზამთრობით საქონელი დადგეს ხოლმე, თუ-კი ბალახი მთელს ზაფხულს იქნება.

შავის ზღვის ნაპირები სულ განსაკუთრებულის თვისებისაა და სრულებით არ მიუდგება რუსეთის არც ერთს ადგილს. მაშასადამე, რუსეთის ადგილების მიხედვით რომ გავსაჯოთ, დიდი შეცდომა იქნება, ისეთივე შეცდომა, როგორიც მოსდევდა ხოლმე ყველა ჩვენ გარდაწყვეტას, რომელმაც ამ 30 წლის განმავლობაში არავითარი სარგებლობა არ მოუტანა არც იმ მხარეს და არც რუსეთს, პირიქით დიდი ხარჯი მისცა.

ხოლო თუ წინად შეცდომაში ვვარდებოდით, კიდევ მოსალოდნე-

---

შეშინდი, გენაცვალე?

(ვალიკო შეურაცხყოფილის კაცის სახეს მიიღებს და გაიბუტება).

ბექანი. (სოფიოს გაჯავრებული) რას ჩააცივდი დედა-კაცო მაგ ბავშვსა?...

ვარლამი. (ხალხისკენ) Грубый цинизмъ! Въ этомъ отношеніи вѣдь они любого Діогена за поясъ могутъ заткнутъ!...

მელიტონი. (სოფიოს) ეგ კიდევ არაფერი, კნეინა... მკვდრებს-კი გაექცევა, მაგრამ ბაყაყებს ხომ ვერსად წაუვა თქვენი ვალიკო!... (სოფიო თვალზედ ხელს იფარებს და ზიზღით აფურთხებს) დღეში ოც-და-ათი მაინც უნდა გამოშიგნოს...

სოფიო. მიშველეთ, მიშველეთ, გულს მეყრება!

მელიტონი. უნდა აქნას და გარეცხოს...

სოფიო. (ადგება და მირბის კარებისკენ) ტაშტი, ტაშტი, ღვთის გულისათვის!... (საერთო სიცილი, მიზარბეგი და ვარლამი ამშვიდებენ სოფიოს)

ბექანი. აი, დედა-კაცის ჭკუა! (სოფიოს) შე ბრიყვო, შენა, ინგლისელები ხომ განათლებული ხალხია, —ბაყაყი მათთვის თურმე თავი საჭმელია! აბა!

სოფიო. (ზიზღით აფურთხებს) უი, თვალიც დაუდგება მათს განათლებას!....

მიზარბეგი. (სოფიოს) მოდი ერთი ჩემო რძალო, „პოდრადად“ ავიღოთ ბაყაყები... ჩვენში ხომ ბევრია ეგ ძვირფასი საჭმელი... ვუზიდოთ და ვუზიდოთ ინგლისელებს.,...

სოფიო. უი, მიწაც გაჰხეთქიათ!...

ბექანი. (მელიტონს) მე სულ მავიწყდება, რა ნაწილში სწავლობთ, ყმაწვილო, თქვენა?

მიზარბეგი (ბექანს) ბუნებით-მეცნიერების ნაწილში... როგორ ვერ დაისწავლე...

სოფიო. ეგ რაღა ნაწილია? ადვოკატობას ასწავლიან თუ დოხტურობას?

მიზარბეგი. არც ერთს...

სოფიო. მაშ სხვა რაღა იქნება?

მელიტონი. (დაცინვით) მე მოგახსენებთ, კნეინა... ჩვენ გვასწავლიან ქიმიას...

სოფიო?!..

მელიტონი. ზოოლოგიას...

სოფიო.?!

მელიტონი. ფიზიოლოგიას...

სოფიო. ეგ რა დარდუბლის სახელებია!

მელიტონი. (დაუშენს) გეოლოგიას, მეტეოროლოგიას, ბაქტეროლოგიას, კრისტალლოგიას... (სოფიო ყურებს დაიცობს ხელებით; საერთო სიცილია).

სოფიო. (მელიტონს) ვგონებ, ვერ მიგიგრია, შვილო, უნივერსიტეტისათვის.

მიზარბეგი. მე მოგახსენებთ, ბატონებო, მელიტონის ამბავს; თქვენ კარგად იცით, როგორ მიყვარს მე მელიტონი... ვაჟი არ მომცა ღმერთმა მე... ტიფო ჩემ შვილად არ მიმაჩნია... აბა რა აქვს საერთო ჩემთან ავაზაკს და ლოთს?! თავი გადავატანე და მაინც ვერას გავხდი... დიდი ხანია მე ის ცოცხლად დავმარხე და გამოვიტირე... მისი ადგილი ჩემს გულში დაიჭირა მელიტონმა... საბრალო ამისი მამა, ფარსადან ეგრიშვილი, ერთი ღარიბი აზნაურშვილი იყო, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა კეთილ-შობილის და დიდებულის გულის! ოჰ, მის გულს დღეს კაცი ვერ დააფასებს... ძლიერ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი... სიკვდილს ებრძოდა, ცივი ოფლი ასკდებოდა საბრალო ფარსადანს, როდესაც მე დამიბარა, ჩამჭიდა მაგრად ხელი და მთრთოლვარე ხმით შემევედრა: შენ გაბარებ ჩემს სასოება მელიტონს, ისე უპატრონე, როგორც გიყვარდიო.. მეც შევასრულე ეს წმიდა ანდერძი პატიოსანის კაცისა. თხუთმეტის წლისა იქნებოდა მელიტონი, როდესაც შვილივით შემოვიყვანე ჩემს ოჯახში. ჩემი მენიკო მაშინ ათის წლისა იყო. დაძმასავით შეზრდილნი არიან მენიკო და მელიტონი... როდესაც მელიტონი უფროს კლასებში გადავიდა, მენიკოს მასწავლებელი შეიქნა და კიდევაც კარგი ნაყოფი მოიტანა მისმა სწავლებამ... მოწაფის გული მას წავლებლისას შეეთვისა... მენიკოს კარგმა მასწავლებელმა სწავლა შეაყვარა... კვეხნით არ ვიტყვი, ჩემმა მენიკომ ბევრი რამ იცის... მისს ჭკუას და გამჭრიახობას ბევრი ჭკვიანი კაცი დაუფიქრებია... თქვენ კარგად იცნობთ ბესარიონ რაყიფაშვილს: —ცოდნაში და განათლებაში მას ტოლი არა ჰყავს ჩვენში; ერთხელ დაესწრო ის მელიტონის და მენიკოს გაკვეთილს, დიდის ყურადღებით უსმენდა, ბოლოს ვერ შეიკავა სიხარული, დამკრა მხარზედ ხელი და წამოიძახა: „ბარაქალა, კნიაზ მიზარბეგ, საუცხოვო ქალი გყავს და მასწავლებელიც საუცხოვო გიშოვნიაო“! დიაღ, ბატონო, ჩემი მელიტონი ძალიან ჭკვიანი ყმაწვილია... გიმნაზიის დასრულების შემდეგ ეგ ბუნებით-მეცნიერების ნაწილი აირჩია... აბა ვინ გაუხდებოდა წინააღმდეგი! განა თავისი საქმე თვითონ უფრო არ იცის? მერმედ საზღვარ-გარედ აპირებს წასვლას მეურნეობის შესასწავლად...

სოფიო. ეგ მეურმეობა კიდევ რა ვარსკვლავთ-მრიცხველობაა, ღმერთო ჩემო!

ბექანი. (გაჯავრებული) მეურნეობა, დედა-კაცო!

მიზარბეგი. ესე იგი მიწის მუშაობა: ხვნა-თესვა, ვენახის მოვლა და სხვა...

სოფიო. ღმერთო ჩემო, ხვნა-თესვასაც სწავლა სჭირებია! რა დღეს მოვესწარით!...

ვარლამი. (დაცინვით) ეგ მეურნეობა ეხლა, ბატონო, მოდაში შემოდის.. ზოგიერთი ყმაწვილები მით აპირებენ ქვეყნის აშენებას!..

მიზარბეგი. ყოველ-გვარი ცოდნა სასარგებლოა... დღეს უსწავლელი კაცი ხეა... ხეზედ უარესიც არის: ხე რაიმე სასარგებლო ნაყოფს მაინც გამოიტანს... (მელიტონს და ვალიკოს) ისწავლეთ, შვილებო, — მომავალი თქვენია... ბესარიონ რაყიფაშვილის სიტყვით გეტყვით: „დღეს ის ხმალი არ გვარგია, რაიცა უჭრიდა ჩვენს წინაპრებსა... სხვა ახალი იარაღი შეიქნა საჭირო... ახალის იარაღის მოპოება უფრო საძნელო არის, ვინემ ხვარასნის რკინისა, მაგრამ სამაგიეროდ ეს ახალი იარაღი უფრო გამძლე და ბეჯითია, —მას ჟანგი არ ეკიდება... დრო გამოიცვალა და ქართველს დედას მართებს ძველი გმირული ნანა შესცვალოს ახალის დროის შესაფერ ნანად...“

სოფიო. აი, კიდეც ეგრე სწავლული გამოგივიდა შენი ტიფო, ჩემო მაზლო, რომ ჩემი რძალი მაია სულ ახალს ნანას უმღერდა!...

მიზარბეგი. ნიშანს მიგებ განა, ემო რძალო?! აკი ვსთქვი, ვაჟი არა მყავს-თქო!.. აი, კვირაზედ მეტია, რაც არ მინახავს... (ამოიოხრებს) საქეიფოდ გახლავთ წასული...

ბექანი. (მიზარბეგს) ეჰ, ჩემო ძმაო, ნამეტანი სწავლაც არ ვარგა!... აი, მე ეხლა ჩემს ვალიკოს ვისტუმრებ მაღალს სასწავლებელში... მართალს გეტყვი, —ძალიან მეშინიან, რომ არ გადაჰყვეს სწავლას... ნამეტანი სწავლით გატაცებას ხომ იცი რა მოსდევს... (შუბლზედ მიიდებს თითს) აი, ამის შერყევა!...

მელიტონი. უსაფუძვლოა თქვენი შიში, ბატონო ჩემო!... (გულისბაღდამ ისმის მაიას ხმა: „არჩილ, არჩილ! ვარდო! სტოლი დახურეთ, ღვინოები ჩაატიეთ! სადაა სტუმრებიც მოვლენ.“)

ილ. პონტელი.

(შემდეგი იქნება).

ლი იყო, რადგანაც არ ვიცნობდით ამ მხარეს, მაგრამ ეხლა-კი გამოცდილება ნებას არ გვაძლევს ფორმალური გარდაწყვეტილება სახეში მივიღოთ და ძველებურად გავიძახოთ: „შავის ზღვის ნაპირების მთიან ადგილების დასახლება შეიძლებაო“.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Koelnische Zeitung“-ი ამბობს: მრავალი გერმანული გაზეთები უკმაყოფილებას აცხადებენ იმაზედ, რომ გერმანია მიემხრო რუსეთსა და საფრანგეთს წინაალმდეგ იაპონიისა. მაგ. გაზეთებ „Vossische Zeitung“, Allgemeine Zeitung“ და „Francfurter Zeitung“-ის აზრით გერმანია არ უნდა ჩარეულიყო აღმოსავლეთ-აზიის საქმეებში, არ უნდა მიჰმხრობოდა რუსეთს და საფრანგეთს. ამ სახელმწიფოების ინტერესები ის არის, რომ გააფართოვონ და გააძლიერონ თავიანთი ადგილები აღმოსავლეთ-აზიაში, ხოლო გერმანიას-კი სავაჭრო ბაზრის მოპოვების ინტერესი აქვს.

—

გაზ. „Times“-ი ვრცლად ლაპარაკობს უკანასკნელს ნომერში ჩინეთ-იაპონიის მორიგების შესახებ. ამ შემთხვევაში „Times“-ის აზრი ინგლისის მთავრობის შეხედულების გამომხატველია და ამიტომ ძლიერ საყურადღებოა.

„მართალია, სწერს ინგლისის კონსერვატორთა გაზეთი, რომ ის შედეგი და ცვლილება, რომელიც მოჰყვა ჩინეთ-იაპონიის ომს და რომელიც მოჰყვება მათ ხელშეკრულობას, ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ისპანიის, ჰოლანდიისა და სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს ეხება, ვნებას მოუტანს როგორც სავაჭრო, ისე პოლიტიკურს ინტერესებს, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ აძლევს ნებას ევროპას ჩაერიოს სხვის საქმეებში. რუსეთის, საფრანგეთის და გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა ჩვენც გვიწვევს იაპონიის საპროტესტოდ, მაგრამ ჩვენ აჩქარებულად და დაუფიქრებლად ვერ გადავდგამთ მაგგვარს მძიმე ნაბიჯს. დაფიქრება-კი გვარწმუნებს ერთის მხრით, რომ ჩვენს ინტერესებს აღმოსავლეთში იაპონიის გამარჯვება მაინც და-მაინც ვერაფრად ავნებს, ისე როგორც საფრანგეთისას, გერმანიისას და სხვა ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებს, სულ სხვაა რუსეთის მდგომარეობა. მეორეს მხრით, თუ ისტორიას მივიღებთ მხედველობაში, ვნახავთ, რომ უკანასკნელს საუკუნეში ევროპაში არ ყოფილა მაგალითი ასეთის უმიზეზო ჩარევისა. ვენის კონგრესი, რომელიც მოჰყვა ნაპოლეონის ომებს და ბერლინისა, რომელიც რუს-ოსმალეთის ომმა გამოიწვია, საგანგებო გარემოებებმა შეჰქმნეს. როდესაც პრუსიამ 1866 წელს ავსტრია დაამარცხა და 1871-ს გერმანიამ ნაპოლეონ მესამის იმპერია დასცა, არავის ევროპაში ფიქრადაც არ მოსვლია პროტესტის წარდგენა. ჩვენის ფიქრით, ამ ჟამადაც ამგვარი გარემოება არის, ესე იგი, ჩვენ ვერა ვხედავთ ჩინეთ-იაპონიის საქმეებში ჩარევის საჭიროებას და თუ ვინმე სხვა რიგად ფიქრობს და სჯის—დეე ჩაერიოს თითონ, სხვას ნუ უმახის და ნუ უცდის.

—

ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“, ამბობს, რომ

„სიმონოსეკში დადგენილი ხელ-შეკრულობას შეეხება: 1) ომის ზარალს, 2) სავაჭრო პირობათა ხელ-შეკრულობას და 3) ზოგიერთა ადგილების ჩამორთმევას იაპონიის სასარგებლოდ.

რაც შეეხება პირველს მუხლს, განაგრძობს გაზეთი,

იაპონიას, როგორც გამარჯვებულს, შეუძლიან გარდაახდევინოს დამარცხებულს სახელმწიფოს ხარჯი, რომელიც მოუვიდა წარსულს ომში; ხოლო ადგილების და ნავთ-სადგურების დასაკუთრებას-კი უნდა წინ-აღუდგნენ ევროპიელი სახელმწიფონი. რადგანაც თუ იაპონიამ დაისაკუთრა ჩინეთის ზოგიერთა ადგილები, მაშინ სასწორი სამართლიანობისა ცალ მხრივ გადაექანება. ეს უკვე სცნეს გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობამ.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ამ უკანასკნელს დღეებში დიდად აალაპარაკა გერმანიის საზოგადოება ერთმა ამბავმა: დრეზდენის ერთს ოლქში ამას წინად ამოირჩიეს პარლამენტის დეპუტატი. ბრძოლა სხვა-და-სხვა პარტიებს გამწვავებული ჰქონდათ, თუმცა ყველა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ეს ოლქი, როგორც ყოველთვის უწინ, ისე ახლაც, კონსერვატორს ამოარჩევს. წინაალმდეგ ამ ფიქრისა და სრულიადაც მოულოდნელად ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნა სოციალ-დემოკრატთა კანდიდატი.

—

**საფრანგეთი.** პარისის ქუჩებს ამ ჟამად თურმე ვერ იცნობს კაცი—ისეთი მყუდროება სუფევს. საქმე იმაშია, რომ ყველა საზოგადო ეტლების, ომნიბუსების, ცხენის რკინის-გზათა მსახურებს უარი უთქვამთ სამსახურისა, სანამდის ჯამაგირს არ მოუმატებენ და ამისთვის იმ ეკიპაჟთა მოძრაობა სრულიად შესწყდა. თუ ვინმემ გაბედა და გამოიყვანა ომნიბუსი, შეთქმულნი მაშინვე ეცემიან, გამოხსნიან ცხენებს და გადააბრუნებენ ეტლსაც იქვე ქუჩაში. ხალხიც და საზოგადოებაც შეთქმულთ ეხმარება, რადგანაც სურს ამ მსახურთა მართლა და უნუგეშო მდგომარეობის გაუმჯობესება. ჯერ ნამდვილად არ იცის არავინ, დასთანხმდება და დაუთმობს კამპანიათა ადმინისტრაცია მსახურთ, თუ არა.

### უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

შესანიშნავი მწერალი ონორე ბალზაკა ამბობს, რომ კაცს ტანისამოსზედ შეეტყობა, რა ხასიათისაც არისო. „თითოეული ხასიათისა ქ თუ გნებავთ, ჭკუის კაცის, თავისის ხასიათისა და გემოვნების მიხედვით იცვამს ტანისამოსსაო. დაჯეშმარიტებით შეიძლება ითქვას, რომ ის ქალები, რომლებიც შავის ფერ, წაბლის ფერს, ყვითელს და მწვანეს, ან მუქ მწვანე ფერის ტანისამოსს ატარებენ, მეტის-მეტი კეკლუცნი და თავის-ნათქვამნი არიანო. ნუ ენდობით იმათ, ვინც განსაკუთრებით ალის ფერს მისდევს, ნამეტნავად ნუ ენდობით იმ ქალებს, რომლებიც მარადის ჭრელ „შლიაპებს“ ატარებენ, მაგრამ ყველაზედ უფრო-კი ერიდეთ იმ ქალებს, რომელნიც განსაკუთრებით შავის ფერის ტანისამოსს იცმენ. მართლადაც კაცი მეტის-მეტი გულ ჩათხრობილი, უბედურის აზრებით უნდა იყოს გატაცებული, რომ სულ შავი ტანისამოსი ატაროს. და აგი ამგვარ ქალებს ჭირივითა სძულთ მხიარულის ფერის ტანისამოსი, სხვაზედაც-კი. თეთრი ფერი უხასიათო ხალხს უყვარს და უფრო პრანჭია ქალები ატარებენ. ვარდის ფერი უყვართ ოც-და-ათის წლისა და მეტის ქალებს. ახალგაზდა, თხუთმეტის წლის ქალები იშვიათად იცმენ თეთრის ფერის ტანსაცმელს და უფრო თალხს ფერს ატარებენ; მხოლოდ ეს იმიტომ მოსდით, რომ ჯერ ქვეყანას არ იცნობენ. ყველაზედ მხიარული, ჭკუა-მახვილი, მოსიყვარულე და უდარდელი ხასიათისა ის ქალები არიან, რომელთაც ვარდის ფერი უყვართ და არც არაფერი საერთო არა აქვთ-რა იმ გულ-ჩათხრობილ და ბოროტის ხასიათის შავის ფერის მოყვარე ქალებთან. ლაჟვარდი ფერი „ლამაზ“ ქალების საყვარელია და ყველასაც უხდება ეს ფერი. მისი მიმდევარი ოცნებიანი და გულ-კეთილია. რუხს ფერს მისდევენ ხანგადასული ლამაზი ქალები, ლილის ფერი მოსწონთ ერთს დროს ლამაზს, მაგრამ ახლა-კი დრო-მოჭმულს ან კიდევ იმათ, ვინც სიბერემდის ლამაზიაო.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უგანათლებულესმა თავადმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ გრუზინსკიმ გარდმომცა ერთი თუმანი ჩვენის ავადმყოფის არტისტის ვლ. ალექსეევ-მესხიევის გარდასაცემად. ხოლო, ვიცი რა ქართველ საზოგადოების სურვილი, რომ ყოველი წვლილი სასარგებლოდ მოჰხმარდეს ჩვენს ავადმყოფს არტისტს, ამიტომ უგ. თ. მიხეილ გრუზინსკის თანხმობით ნებას ვაძლევ ჩემს თავს და ხსენებულს ერთს თუმანს ამასთანავე ვგზავნი რედაქციაში, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ პატივცემულს მ. ა. გრუზინსკის ბევრნი სხვებიც მიჰბაძავენ; ამ რიგად შესდგება ცოტაოდენი თანხა, რომელიც, უეჭველია, მალამოდ დაედება ვ. მესხიევის სენს.

რა თქმა უნდა, რომ ასე შეგროვილი ფული მას შემდეგ, როცა მესხიევი სამკურნალოდ გაემგზავრება საზღვარ-გარედ, ნაწილ-ნაწილად, თვე-და-თვე გაეგზავნება მას და უფრო რიგიანადაც მოჰხმარდება.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი ვ. გუნია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 აპრილი.

**მოსკოვი.** მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ, 15 ათასი მანეთი გაიღო მოსკოვში ასაგებ ალექსანდრე მესამის ძეგლისათვის და დაადგინა: [illegible] გომლოთ იმპერატორის ალექსანდრე III სახსოვრად მოსკოვის I-ლი ექვსკლასიანი გიმნაზია რვა-კლასიანად გადაკეთდეს, სადაც თავად-აზნაურობა ყოველ წლივ სამი-ათას მანეთს შეიტანთ, იმ პირობით-კი, რომ 60 ვაკანსია თავად-აზნაურების შვილებს დაეთმოთ და მათ მშობლებს ნება მიეცეთ თვალ ყური ადევნონ ხოლმე გიმნაზიაში სწავლებასაო. დაარსდეს ალექსანდრე III სახელობაზედ მოსამზადებელი სასწავლებელი მოსკოველ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. თავად-აზნაურობამ მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას უნდა მიართვას ხატები: მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა და იოანე ნათლის-მცემლისა.

20 აპრილს.

**პეტერბურგი.** დღეს პეტერბურგის ეპარხიის ყველა ეკკლესიებში გადახდილ იქმნა პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად. პეტერბურგში გამართული იყო ალაპი ღარიბთათვის. თეატრები დახურულია.

**ლონდონი,** 19 აპრილს. „Times“ სწერენ კობედან: გარეშე ქვეყნების სამხედრო ხომალდები თავს იყრიან იაპონიის ნავთ-სადგურებში. საფრანგეთის გემებს ბრძანება მოუვიდა, „რომ მზად იყვნენ საომრად“.

ტიანძინიდან იწერებიან, რომ ჩინეთის იმპერატორმა ლი-ხუნგ-ჩანგი პეკინს დაიბარაო.

**ბელგრადი,** 19 აპრილს. სეფე სიტყვის საპასუხო ადრესში მოხსენებულია, რომ კონსტიტუციის მოქმედების შეყენება საჭირო იყოვო. დაგმობილია ის კანონები, რომელნიც გამოცემული იყვნენ წინაალმდეგ მილანისა და დედოფლის ნატალიასი. გამოთქმულია აგრეთვე გულმტკივნეულობა იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების გამო, ამასთან მოხსენებულია, რომ რუსეთი კეთილად არის განწყობილი სერბიისადმიო.

**ათინა,** 19 აპრილს. ტრიკუპისი კენჭის ყრაზე დამარცხდა. ამიტომ უარს აცხადებს პოლიტიკაში გაერიოს ოდესმე.

### „ივერიის“ ფოსტა.

—

**სადგური ძეგამი. დ. მ-ეს;** თქვენ ალბად დაგვიწყებიათ, რომ ქართულს გაზეთში დასაბეჭდად გზავნით კორესპონდენციას, თორემ კეთილინებებდით და გადასთარგმნიდით თქვენს წერილს.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ქირურგიული სამკურნალო
„ჰ ე ნ ი“
მოსკოვში.

სამკურნალოს კიდევ მიემატა ორი ახლად გაკეთებული პავილიონი.

მიიღებიან როგორც მოზრდილნი ისე ბავშვები ქირურგიულისა და შარდით ავადმყოფნი. საავადმყოფოში ყოფნაში და წამლობაში თვიურად ერთმევად 60-დგან 300 მან. ავადმყოფთ, უფრო-კი ბავშვებს, შეიძლება თან ჰყავდეთ მშობლები, ან ნათესავები. სამკურნალოსა ჰყავს თავისი საკუთარი მრჩეველი ექიმები.

პატრონი და დირექტორი ექიმი **პ. ი. მოდლინსკი.** ორდინკა, მ. კადაშევის მოსახვევი, საკუთარი სახლი. (10—3—1.)

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა როდიონოვისას.

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

ცოდვა
სიყვარულისა.
(Crime d' amour)

რომანი პოლ ბურჟესი, თარგმნილი გრ. ყიფშიძის-მიერ. ფასი 70 კაპ.

—

მზადდება დასაბეჭდად მის-მიერვე თარგმნილი წვრილ-წვრილი მოთხრობანი ევროპის საუკეთესო ბელლეტრისტებისა: ალფ. დოდესი, გიუ დე-მოპასანისა, კატულ მენდესისა, ალექ. კილანდისა, მატილ. სერაოსი, ვიტტარიო ბერსეციოსი, ჯონ ვერგისა, ედმონდ დე-ამიჩისისა და სხვათა სიტყვა-კაზმულის მწერლობის ნაწარმოებნი ოსტატთა. (5—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Апрѣля 1895 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე